საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/245 " 5 " სექტემბერი 2016 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) მე-20 მუხლის მე-6-მე-7 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. თბილისის საქალაქო სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს 116 მოსამართლით.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სპეციალიზებულ სასამართლო კოლეგიებში მოსამართლეთა რაოდენობა განისაზღვროს:

ა) სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში - 44 მოსამართლით;

ბ) სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში - 25 მოსამართლით;

გ) ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში - 27 მოსამართლით;

დ) საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიაში - 20 მოსამართლით.“;

ბ) 58-ე მუხლის მე-3-მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა განისაზღვროს 65 მოსამართლით.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს კოლეგიასა და პალატებში მოსამართლეთა რაოდენობა განისაზღვროს:

ა) სამოქალაქო საქმეთა პალატა - 22 მოსამართლის შემადგენლობით;

ბ) სისხლის სამართლის საქმეთა პალატა - 18 მოსამართლის შემადგენლობით;

გ) ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა - 17 მოსამართლის შემადგენლობით;

დ) საგამოძიებო კოლეგია - 8 მოსამართლის შემადგენლობით.“.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი